Georgia

Country of life



# შენ იმყოფები თბილისში

www.georgia.travel

www.fb.com/GeorgiaAndTravel
















**1 ძველი თბილისი**

ქალაქის ძირითადი ღირშესანიშნაობები სწორედ ძველ თბილისშია თავმოყრილი. ეს უბანი ასევე გამოირჩევა აბანოთუბნით - დღემდე მოქმედი გოგირდის აბანოებით; შარდენის ქუჩითა და მის მიმდებარე რკინისა და ბამბის რიგებით, სადაც განლაგებულია პოპულარული რესტორნები, ღია კაფე-ბარები, ღამის კლუბები და გალერეები.

**2 ნარიყალა**

ნარიყალას ციხესიმაგრე, რომელიც ძველი თბილისის ყოველი კუთხიდან მოჩანს, IV -XVI საუკუნეებში წარმოადგენდა თავდაცვით ნაგებობას ადგილობრივი მმართველებისთვის.

**3 რუსთაველი და თავისუფლების მოედანი**

რუსთაველის გამზირი თავისუფლების მოედნიდან იწყება და ქალაქის ცენტრად მოიხსენიება - აქ მდებარე მნიშვნელოვანი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კულტურული და ბიზნეს დაწესებულებების სიმრავლის გამო.

**4 ფუნიკულიორი**

თბილისის ფუნიკულიორი მსოფლიოს სამთო-საბაგირო გზებს შორის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობაა. საბაგირო რკინიგზას მთაწმინდის პლატოზე მდებარე კულტურისა და დასვენების კომპლექსთან მივყავართ. აქვეა „ბომბორა“ - ქალაქის ყველაზე დიდი გასართობი პარკი.

**5 მშრალი ხიდი**

„მშრალი ხიდი“ცნობილია სურათების გამოფენა-გაყიდვით, ანტიკვარიატის ბაზრობითა და „საბროკერო ბირჟით“.

**6 აღმაშენებლის გამზირი**

თბილისის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქუჩა. აქ შეხვდებით ძველ არქიტექტურულ ნაგე-










0
ებლად
ადგილი







ბობებს, მოხატულ სადარბაზოებს და გამორჩეულ ორნამენტებს.

**7** **საქართველოს მუზეუმი**

საქართველოს მუზეუმი 1919 წელს დაარსდა და მის ფონდებში დაცულია ბუნებისა და კაცობრიობის ისტორიის უნიკალური მასალა: 40 მილიონი წლით დათარიღებული ცხოველთა ნაშთები, პალეოლითის, ნეოლითის, ბრინჯაოს, ლითონის ხანათა და შუასაუკუნეების არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციები.

*მის.: შოთა რუსთაველის გამზირი № 3*

**8** **ხელოვნების მუზეუმი**

ხელოვნების მუზეუმის “საგანძურში” გამოფენილია წინაქრისტიანული ხანის უნიკალური არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული ხანის ქართული ოქრომჭედლობის შედევრები (VII-XIX სს.), ხატები, ჯვრები, ტიხრული მინანქრის კოლექცია და ქართული ნაქარგობის უნიკალური ნიმუშები.

**9** **გაბრიაძის თეატრი**

პირველი ქართული მარიონეტული თეატრია თბილისში, რომელიც 1980 წელს დაარსდა. თეატრის შესასვლელთან საათის კოშკია, საიდანაც 12 საათზე მექანიკური თოჯინები წუთნახევრიან წარმოდგენას მართავენ.

*მის.: შავთელის ქ. №13*

**10** **წმინდა სამების საკათედრო ტაძარი**

სამება ყველაზე მაღალი მართლმადიდებლური ტაძარია საქართველოში. საკათედრო ტაძრის კომპლექსი მიწისქვეშა და მიწისზედა ნაწილებისაგან შედგება და აერთიანებს 9 ეკლესიას, სხვადასხვა დამხმარე შენობებს და ულამაზეს ბაღს.




## ავტომობილით:

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტი - თბილისი** -19კმ; 22წთ.
**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - თბილისი** - 260კმ; 3სთ/10წთ.
**ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი - თბილისი** - 380კმ; 4სთ/40წთ.

## ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი

**თბილისი**
პუშკინის სკვერი
(+995 595) 997 752
tictbilisi@gmail.com
სამუშაო დღეები: ყოველდღე
სამუშაო საათები: 10:00 - 17:45

## თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

(+995 32) 2 310 007
ticairport@gmail.com
სამუშაო დღეები: ყოველდღე
სამუშაო საათები: 24/24

Georgia
Country of life

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel

**არ იყიდება** - გამოშვებულია საქართველოში - 2014